



ჰა, მოქრის წალი ხარისხის, დანქარების და გარდაქმნის!..  
და გონს მოგონს სუფველა, ვისი გონებას სხვაგან ქრის!

**წიგნები**

**24**

დეკემბერი

1986 წ.

# მეცხედ მოდის!

საილიო წელი დგება!.. გვიხაროდა ვერე როდის?!  
 განა შუბით? — ერის შუბლით შეკვლედ ჭავჭავაძე მოდის!  
 სურჯინიდან წამოფრინდა უმთავრესი დასალოცი:  
 „გაგელიოს საუკუნე, საქართველოვ, ასჯერ იცი..  
 დრო და ვამი მშვიდობის წიგნს დანდობილად, მშვიდად ფურცლავს,  
 რაც შეეძლო, ვეფხვის წელი გეფერა და გეკვალუსა!  
 უძრაობის ნერვი გაწყდა (სამღურავი როგორ დამცდეს?)  
 და-ჩქა-რე-ბა! — უკეთესი მერმისისთვის დაგიმარცვლეს!..  
 დიდი მტერი ვითომ სიბრძნის, ვითომ წინსვლის, ვითომ საქმის,  
 განა სიო? შორით ვატყობ, სულ გრიგალა ქარი დაქრის!  
 ნაგავია? — სანაგვეზე! (აღრე ცოცხი ცალფად გვიდა!).  
 წმინდა ხელებს შესციციანებ, ნაღდი გინდა, ნაღდად გინდა!  
 მომწონს მსხვრევა ნიღბებისა — ვეღარ სვრებენ ისე ნაღებს,  
 უკაცრავად, უმროშელად ისე ვეღარ გაილაღეს!..  
 თუმცა ბოთლში ისევ ძვრება (ლოთის სიგრძე — განვლია!)  
 იკლო (თუ არ აღიკვეთა) ალკოდრამატრაგედიაში!..  
 უსმელი ვარ, ხალსი ჩემი დამჯერდება, აზრი ვასვი,  
 შენი მტერის მტერი ვნახე, შენი გენის რენესანსი!  
 სამაიო — საჭადრაკო — სადედოფლოს იცით ფასი?  
 დამიძებნეთ, გამარჯვებას ბანი შევნის პატასი!  
 ლელო თუკი დიგულებ, კიდევ უნდა გაიტანო,  
 „დათას“ გამო მე ჭაბუა შეილაღ უნდა ავიყვანო!  
 მიწას გლესი არ მოსწყვიტოთ! — ამით უღვას ქალაქს სული,  
 სუნთქვა მიჭირს! — ნაბოლქვარით ჰაერია შენისლული!  
 არ ივარგებს, რომ არ გითხრაო, სვირი არ გექცეთ შარად,  
 ძველ თბილისს რომ ალაშაზებთ, ანალმა რა დაგიშავთ?!  
 სიმეჩხერე ვაზის, აზრის!.. ბაზრის ჭვალი ჯიბეს გიჭირს! —  
 ეს გჭირს, თორემ თავად ვსედავ, შენ უქიმი აღარ გიჭირს!  
 სრულად ვერ რწყავთ, მზრუნველობის ნამი უნდა ძნას და ულოს,  
 საქმეს არსად არ უგანოს, შენს მეცნიერს არ ეცროს!  
 მე ბაზალეთს ვსთხოვე მაშინ, ერის წყლული იქ გამეყო,  
 ის აკვანი და ყრმა იგი, საქართველოვ, ნუთუ გეყო?!  
 სინდისი არ გასაქონლდეს! აქ იკვრება, ვატყობ, წრელი,  
 სკამებით რომ ეფანალათ, „კაკო ყანაღს“ იმად ვწერდი?!  
 ზოგჯერ ვსედავ სამართალში სიმართლევ კი გაირიყა!..  
 (ამის ცოტა გამეგება, მოსამართლე მეც სომ ვიყავ?!).  
 მოილხინეს, კი ბატონო, ბევრზე მართლა ალალია,  
 მაგრამ ის რომ გაჯვარტლული, გამკვაჭავი დალალია?!  
 ეს წესი ვინ დაგიწესათ, ვერაფერი გამიგია! —  
 მეკვდარს ტირით და ფულს აციანებთ! — რა წესია, რა რიგია?!  
 სიტყვებს ცოტა ამსუბუქებთ, მე არ მინდა ვთქვა, რომ ყბედობთ!  
 ლექსიკონებს იმად ბეჭდავთ, შიგ რომ აღარ ჩაისვდოთ?!  
 ოჯახს, სკოლას მიმიხედეთ! — იქ კაცდება სადავ ბავშვი!  
 ჯიბრში არა, გაუჯიბრეთ ერთმანეთის ვატანაში!  
 გამრავლების სურვილებით დაგისუნძლეთ ბევრჯერ სონა,  
 გმირობაზე ქართლის დედას ვერ წარადგენთ, ისე მოჩანს!  
 ტამტუშით რომ გაფარფაშდით უშვილძიროდ, რა მაღლია?!  
 „თერგდალეულს“ მე შეძახდით, თქვენ კი, ხალსო, რამ დაგლიათ?!  
 მწაღდა, მაგრამ ვერ ვეღირსე, მაშინ ვერვის ვერ ვასმინე,  
 შენს ძმას როცა აძინებენ, არ ჩაგთვლიმოს შენც მაშინვე!  
 სასვლიო, სამომავლო საფიქრალში გადაეშვით,  
 საერთოდაც, ძილს მოეშვით! — იქ გვეყოფა, სამარეში!  
 უცსოური არა სცნია, მართალია, „რინარდს“ არ პავს,  
 არ გჭირდებათ? ჩემს „კაციას“ „რუსთაველი“ აღარ დადგამს?!  
 ანრდღოს ვლოცავ მომავლისას, კვლავ ამაღლდეს შენი ზეცა!  
 მოგაკეთოს სულწასული, ტვინსუსტი და გულნამეცია!..“

საილიო წელი დგება!.. გვიხაროდა ვერე როდის?!  
 განა შუბით? — ერის შუბლით შეკვლედ ჭავჭავაძე მოდის!..

ზაზა კაციაშვილი

ნახ. შ. ლელაძის  
 ქრონიკული  
 გიგლიორთიქა



ანტიბოდის ნადვის ხე



— რამ შეგაშინათ? გამიღეთ კარი, თოვლის პაპა ვარ!..

რომ იტყვიან, სადაც წახვალ, იქა-  
ური ქუდი უნდა დაისუროს, ტყუილი ყოფი-  
ლა! ერთხელ სხვა ქალაქში ჩასულმა ვცადე  
მისი დახურვა და თავბედი ვიწყებდი მას  
შემდეგ სულ ჩემი ქუდით ვავიარები!.

ჩავალ თუ არა უცხო ქალაქში, მყისვე  
სასტუმროს მივადგები ხოლმე. ადმინისტრა-  
ტორი, ყველას რომ მოღუშულად პასუხობს,  
ადგილი არ არისო, ქართული ქუდის და-  
ნახვაზე სავსე მთვარესავით იხადრება და  
ხელს მიქნევს განდობილად, მაშინვე გულის-  
ჯიბიდან დაუდევრად ვიღებ პასპორტს, ქუდს  
ვისწორებ და ვიფხორებო. ადმინისტრატორი  
ჩემი პასპორტიდან ჩემად იღებს ოცდახუთ-  
მანეთიანს და კაცობაში ღიმილით მიწერს  
სუთიანს.

მე კი ქუდს ოდნავადაც არავის ვუხედი,  
ზღაზღანით ავდივარ ზედა სართულზე, დამ-  
ლაგებელს ჩემი ქუდის დანახვაზე წლები  
აკლდება და სილამაზე ემატება, კეკლუცი  
ღმიღლითა და ტანის რხევით ლუქსისაკენ  
მიმიძვება!..

ყოველ დილით ლუქსიდან ჩემი გამობრ-  
ძანება ზეიშია ყველასათვის; ხელს მართმე-  
ვენ, ხელის ჭუჭყს მადლიან, მეფერებიან,  
მადლიერებით ისენიებენ იმ კუთხეს, რო-  
მელმაც მშობა, აღმზარდა, ამისთანა ქუდი  
დამხურა და აქეთ გამომავალა.

ყველგან ასე მხედებიან: ბაზარშიც, ბაზა-  
შიც, რესტორანშიც და მაღაზიებშიც. ზოგჯერ  
სუკირით, საიდან ამდენი ფულიო? მე ღიმი-  
ლით ვპასუხობ: ჩვენი ყველა მცენარეს  
ფულის ფოთლები ასხია-მეთქი! აბა, სომ  
ვერ გამოვუტყდები, წამოსვლის წინ მამა-  
ჩემი ვალეებით რომ ავაგებ, რათა ჩემს საყ-  
ვარელ საქართველოს გაუთუქვა სახელი!..

ამის გაკეთებას კი ყველგან ვახერხებ: ავ-  
ტობუსში ან ტროლეიბუსში რომ ავდივარ,  
ათშაურიანს ან მანეთიანს გადავაწოდებ  
ხოლმე ბილეთისათვის, ჩააგდეთ, სურდა არ  
მინდა-მეთქი! მაშინვე ქუდზე შემომხედავენ  
ხოლმე!..

ერთხელ ჩემსავით სახელის მაძიებელ  
კაცს გადავყარე ტროლეიბუსში, ოღონდ მას  
ადგილობრივი მრეწველობის მიერ გამოშვე-  
ბული ქუდი ეხურა, მეუბნება: აკადემიკოსი  
ვარ, ჩემი ყოველთვიური შემოსავალი ათას  
მანეთს აღემატება, მაგრამ ჯერ შაურზე მეტი  
ბილეთი არ მიმიცია, შენ კი სხვისი ფუ-  
ლით აღიზიანებ ხალხსო! სხვისი არ არის,  
მამაჩემისაა, იმან კიდევ ვალად აიღო-მეთქი,  
ვუპასუხე. ისევ ქუდზე შემომხედა, მეტი  
აღარაფერი უთქვამს.

ქუჩას, სადაც მინდა, იქ გადავჭრი, მილი-  
ციელის სასტვენის სმა ბუზის ბზულია  
ჩემთვის, მანეთიან ჯარიმას სუთმანეთიანით  
ვიხდი და მივდივარ ჩემი გზით, ღონიერი  
მხარ-ბეჭით მივარდევ მანქანების ნახირს!..

ღონითა და ფულით რომ ვერ მაკავენ  
და ვერ მაძიებენ, რომ ქუდი მოვიხადო,  
ათასი რამ სხვა მოუგონიათ. ერთხელაც  
გადავდივარ გაზონზე და რას ვხედავ, დიდი  
ასობით წერია: „აქ გადადიან მხოლოდ...“  
და იქვე ღორია დახატული. ასეთივე წარ-  
წერები გაუკეთებიათ და ღორები მიუხატავთ  
სხვა ადგილებშიც!.. აქაც იგივე სურვილია —  
უნდათ რომ ქუდი მომანდევინონ და ადგი-  
ლობრივი წარმოებისა დამხურონ. ვერ მო-  
გართვით-მეთქი, გავიფიქრებ ხოლმე და  
მივდივარ ჩემთვის.



### უპროპაგანდისტული თანხების ვიზიტები

მაშინ ქართულ ხასიათში ყველაზე სუსტი  
ადგილი მომიძებნეს — ქალები დამიპირის-  
პირეს, თანაც ლამაზები.

ერთი მეუბნება: ეგ სიგარეტის ნამწვი  
რომ დააგდე, ახლავე უკანვე უნდა აიღო!  
სად წავიღო-მეთქი, ვერ შევუღრინე, მაგრამ  
მინც რისიანად ვუთხარი. მოხდა ქუდი და  
შიგ ჩაიდეო! ქუდის მოხდა არ შემიძლია-  
მეთქი! მაშინ ჯიბეში ჩაიდეო, და აღარ  
მომეშვა, სანამ ნამწვი არ ამალბინა. მეორე



ლამაზმანმა ტრამვაის ბილეთები წამომა-  
კრეფინა, მესამემ — ტროლეიბუსისა და  
ნაყინის ორი ქალაღიცი (ქალიშვილთან  
ერთად ვიყავი).

შევატყვე, რომ აღარც ქუდი ჭრიდა და  
აღარც ფული, ჯიბეები ბილეთებით, სიგარე-  
ტის ცარიელი კოლოფებით, ნამწვებითა და  
ნაყინ-ნამცხვარ-კანფეტების ქალაღებით  
მქონდა ამოტენილი. ქუდი კი ისევ მეხურა,  
მაგრამ ამპარტავნულად აღარ, სადა იყო  
ლალი მისრა-მოსრა? აშუშული დავდიოდო!



მაშინ პირველად ვინატრე ჩემი სათაყვანე-  
ბელი სამშობლო, სადაც ეს სილამაზე, სი-  
ლაღე და ქუდი შევიძინე.

მაშინვე თვითმფრინავის ბილეთი ვიყიდე  
და თბილისისაკენ გამოვფრინდი. როგორც  
კი ჩემი საყვარელი ქალაქის თავზე თვით-  
მფრინავმა პირველი ირაო შეკრა, სიხარუ-  
ლის ცრემლები მომერია და გულამომჯდარ-  
მა ამოვიღიღინე: „ცა-ფირუზ, სმელეთ-ზურ-  
მუსტო, ჩემო სამშობლო მხარეო, სნული  
დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო“.  
დავამთავრე ეს სიმღერა და მხოლოდ აქ  
მოვიხადე სხვა ქვეყნებში ამპარტავნულად  
ნატარები ქუდი. ნამწვები და ქალაღები,  
ჯიბეებში რომ მქონდა ჩატენილი, ქუდში არ  
ჩამიყრია, ჩამოვედი თუ არა თვითმფრინა-  
ვიდან, ზოგი ტროტუარზე დავყარე და ზო-  
გი — გაზონებში. შვებით ამოვისუნთქე და  
სიგარეტს მოვუკიდე, ავტობუსში ავედი და  
ნებივრად გავექეი ორი კაცის ადგილზე.  
ავტობუსში ბლომად ხალხი იყო, მაგრამ  
არავის შევუწუხებია.

აქ კიდევ ერთხელ ამიჩვილდა გული და  
თბილისზე ლოცვა მომინდა. ცენტრში რომ  
ჩამოვედი, თავისუფლებამონატრებულმა პირ-  
დაპირ რუსთაველის პროსპექტზე მოვისრო-  
ლე შოკოლადის ფილის ქალაღი, ფოლგა,  
სიგარეტის კოლოფი ცელოფანის გარსაცმი-  
ანად, ასანთის ღერები და აეროპორტიდან  
გამოყოლილი ქვითარი. ქალიშვილებმა აღ-  
ტაცებული მზერით დამაჯილდოეს ასეთი  
დაუდევარი ვაჟაკური მანერებისათვის.

აქ კიდევ ერთხელ ითქვამდა სიხარულის  
ცრემლმა ჩემი თვალებიდან და სიმღერა რომ  
ვეღარ შევძელი, ხელები ფრთებივით გავ-  
შალე.

ამწუთას დავრწმუნდი, ცამდე მართალი  
ყოფილა ის, ვინც თქვა, რომ ქართველები  
სხვაგან ვერ ძლებენ, მშობელი მიწის დარ-  
დი — ნოსტალგია კლავთო. ნოსტალგია  
მედაც მთელ ტანში, მაძაგძაგებდა, თავისთ  
მცვივად ხელებიდან და ჯიბეებიდან ანა-  
ნასის ნაფცქვენი და ნამცხვრის ნაფხვენი!..

რბილად მივაბიჯებდი სიგარეტის ნამწვე-  
ბზე და შესაფუთი ქალაღის ნარჩენებზე,  
ქარს თბილი ნამქერივით მოჰქონდა ქალი-  
შვილების მადლა აწვდილი ხელებიდან ავ-  
ტობუსების გასწვრივ გამოფრიალებული თე-  
თრი პეპლები — ბილეთები!..

აქ გულმა ვეღარ მომითმინა და ერთხელ  
კიდევ წამოვიმღერე: სნული დავბრუნებულ-  
ვარ, მკურნალად შემეყარე-მეთქი! იქვე ვი-  
ლაცამ ჩემს გასაგონად ჩაიბურტყუნა: „ვას  
ვ სამომ დელე ლეჩიტ ნადაო“. უთუოდ  
მიხვდა, რაც მჭირდა.

ბრძენს უთქვამს: სამშობლოს კვამლიც კი  
ტკბილი და სასიამოვნოაო. მე აქ უფრო  
შორს წავიდოდი — მტვერსა და ნაგავსაც  
დავუმატებდი მშობელ მიწას და ამისთანა  
მიწით ვისურვებდი მკურნალობას უცხოეთში  
შექნეილი ნოსტალგიისგან. სუფთა სამშობ-  
ლო პეწენიკებისათვის დამითმია!

ჩაიწერა ელგუჯა მარაბიშვილმა

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



# საქართველო სურვილები

მტრებს — ლულუნი,  
 კომბაინს — გუგუნი,  
 დუშმანს — უკუნი,  
 ოროსანს — სლუკუნი,  
 მოლაუბებს — ბლუკუნი,  
 გასტრონომს — სულგუნი!  
 ოჯახს — აკვანი,  
 ქათამს — კაკანი,  
 გამფლანგველს — საკანი,  
 გზისპირეთს — კაკალი,  
 ყალბისმქნელს — კანკალი,  
 აფთარს — უკანი!  
 მცემუშაკს — აღმოჩენა,  
 დახლქვეშას — გამოჩენა,  
 კარიერისტს — ჩამორჩენა!  
 თეატრს — მაყურებელი,  
 სტადიონს — საყურებელი,  
 შეუსმენელს —  
 დამყვირებელი!

პოეტს — ზღვა მუზის,  
 მესუფრიას — ნამუსრი,  
 მშენებელს — ნამუსი!  
 ესტრადას — ტაში,  
 მთხოვნელს — საშვი,  
 რესტორანს — ხაში!  
 სასწავლებელს — სპეტაკი  
 მასწავლებელი,  
 უსაქმურს — მკაცრი  
 დამსაქმებელი,  
 საქმოსანს — ბლომად  
 სასაქმებელი!

იუმორს — სიცილი,  
 ღიბიანს — სირბილი,  
 უნამუსოს — სირცხვილი!  
 აბიტურიენტს — საგნების  
 ჩაბარება,  
 რეპეტიტორობას — არქივში  
 ჩაბარება,  
 კომბინატორს — აშკარა  
 ჩაფლავება!

ბეჭითს — დაფასება,  
 პროტეუეს — ჩამოფასება,  
 პროტექტორს — თვალის  
 დავსება!

ხალას ნიჭს — გზახსნილობა,  
 ნოვატორს — გასხივება,  
 ბიუროკრატს — დასხივება!  
 კანონის დამრღვევს —  
 შეძულება,  
 მიცემულ პირობას —  
 შესრულება,  
 შემსრულებელს — პრემირება!  
 ყველა გამრჩეს — კვლავ  
 მადლობა,  
 გაუმადლარს — უმადობა,  
 მოლაღატეს — არდანდობა!  
 ანონიმს — სტრეისი,  
 მგელს — კარიესი,  
 მებრთამეს — უარესი!

ხალტურისტს — ზღვევა  
 ნატურით,  
 პერსონა ნონ გრატას —  
 პანჩური,  
 მუტრუქს — ყურების  
 პარტყუნი!  
 ხაჩიას — დაჩირვა,  
 განცხადებას — დროზე  
 განხილვა,  
 არამ ლუქმას — ყელში  
 გაჩხირვა!

ნაწერს — ხარისხი,  
 ნაწარმს — ხარისხი,  
 ნასწავლს — ხარისხი!  
 სპორტულ გუნდს — ტყე  
 თახების,  
 მოდის მიმდევარს —  
 ბოტასები,  
 შინაბერას — მოტაცება!  
 აღკოპოლს — გამოსახლება,  
 ბერბიჭას — დაოჯახება,  
 ნარკოტიკებს — კარში  
 გაძახება!

სატკივარს — საღბუნო,  
 რკინიგზას — სადგური,  
 მცონარეს — ნიშადური!  
 სნეულს — ჭანი,  
 მთიანეთს — გზანი,  
 აფთიაქს — ესკუზანი!

შეუგნებელს — შეგონება,  
 შურიანს — შეღონება,  
 თვალნარბს — კვამლის  
 შებოღება!

ფერმას — ფური,  
 უგულოს — გული,  
 ექიმს — გულისყური!  
 პარკს — სიმრავლე ხეების,  
 მოსამართლეს — სუფთა  
 ხელები,  
 ქურდბაცაცებს — ასთმა და  
 ხველება!

წარსულს — ხსენება,  
 ძეგლს — მცველები,  
 წვეწვს — მსმელები!  
 ატმოსფეროს — ბევრი  
 ფანგადი,  
 მწყემსს — წყალგუმტარი  
 ნაბადი,  
 თავქარიანს — თავზე  
 ხილაბანდი!

პაერს — განიავება,  
 გამწივებელს — დანიავება,  
 ჩხუბისთავს — დალილავება!  
 უმწვეოს — უანგარო შემწე,  
 კოსმონავტს — ფრენა მზემდე,  
 დანარჩენს — და ასე შემდეგ!..

აპოლონ ბასილიანი

**ვის რას დაუპყვედნო  
სახალწლოდ...**

ზოგ ხელმძღვანელს — ას-  
სოვდეს, რომ თუ ზარმაცი არ  
დასაჯა, გამრჯეც გაზარმაც-  
დება!

კარიერისტებს — ხელქვეი-  
თები ხელზე მოსამსახურებად  
არ გადაეჭვიოთ!

ტრადიციის გამყალბებლებს  
— ეროვნული ტრადიცია და  
საკუთარი ტენდენცია განესხვა-  
ვებინოთ ერთმანეთისაგან!

ბიუროკრატებს — მოსაცდე-  
ლებს მოსაცდენებად ნუ აქცე-  
ვენ!

პროვოკატორებს — თავიანთ  
დაგებულ საფანგებში გაბმუ-  
ლიყვნენ!

პატივმოყვარე უფროსებს —  
უსამართლო ქებებს სამართლი-  
ანი ძაგება ერჩიოთ!

ჩაწოლილი წიგნების ავტო-  
რებს — წერის უნარი დაჰკარ-  
გოდეთ!

უცოლო შამაკაცებს — მარ-  
ტოხელობა ხელობად არ ექ-  
ციოთ!

**ნაწილი**

ფორმალისტებს — ასსოვდეთ,  
რომ ხმაურით დაწყებული  
საქმე უხმაუროდ მთავრდება!

კონსერვატორებს — სიახ-  
ლის გრძნობა არ დაეკონსერ-  
ვებინოთ!

ბრაკონიერებს — მხეცებს  
მხეცურად არ მოპყრობოდნენ!

ბედოვლათებს — დოვლათს  
ყოველთვის ბედისგან ნუ ელ-  
იან!

შურიანებს — სხვის ღირსე-  
ბას საკუთარ ნაკლად ნუ მიიჩ-  
ნევენ და საკუთარ ნაკლს —  
სხვის ღირსებად!

სულმოკლეებს — ასსოვდეთ,  
რომ სულგრძელობა დღევრძე-  
ლობის საწინდარია!

**ასალ წელს კაითხას...**

გაურჯელი შრომაში რო-  
გორ ჩაებათ და — უშრო-  
მელი შემოსავალი მოეუსპო-  
თო!

უკანონო შემოსავალს  
როგორ ვებრძოლოთ და —  
კანონის მთელი ძალითო!

უსამართლობას როგორ  
ვებრძოლოთ და — სამართ-  
ლისა და სიმართლის ძალა  
დაგვანახოთო!

ქართულ სოფელს რას  
უსურვებდით და — ქალაქის  
სარჯზე გაზრდილიყოსო!

ბუნებას როგორ მოვუა-  
როთო და — მასზე თავდას-  
მისაგან თავი შევიკავოთო.

ყველაზე უფრო რა გადა-

რდებსო და — ზოგიერთების  
უღარდელბაო!  
წონასწორობა რეკორდული  
შეინარჩუნოთო და საკუთარ  
თარი წონა არ დაგვავიწყდესო!

**ლექსიკონი**

ასალი წელი — ერთადერთი  
რამ, რომელსაც არც მოსვლა  
აგვიანდება და არც წასვლა.

სახალწლო სუფრა — ძველი  
წლის მემკვიდრეობის თანდა-  
თანობითი ლიკვიდაციის საშუ-  
ალეა.

სახალწლო მილოცვა — შო-  
კოლად-ტკბილეულის გაცვლა-  
გამოცვლა.

**ვის რა ინაბრა  
სახალწლოდ:**

საქმოსანმა — ისე ვიგებდე,  
რომ არვინ იგებდესო!

შემწერმა — ჩემი წვლილი  
შემგირდეს და წილი გაიზარ-  
დოსო!

უშრომელშემოსავლიანმა —  
ნეტავ ჩემს გარდა ყველა ბრმა  
იყოსო!

**ალმანხორ თაყაყა**



ნახ. ი. ქვიცაშვილისა

უსიტყვოდ

**ბოროტი სძლიეთ კეთილით!**

ოთხმოცდაექვსმა დაბერტყა ბარაქით ავსილი კალთა,  
ოთხმოცდაშვიდი დიდებით, ზემით მოგვადგა კარსა,

წკრიალა ხმით შემოგვძახა: „მოვსულვარ, გამიღეთ კარი!  
მომაქვს შვიდობის, ძმობისა და მეგობრობის ლამაზი!

შემხვდით ღვინით და სიტკბოთი, ხალისიანი იერით,  
იყავით მხნენი, ჯანმრთელნი, ბედნიერნი და ძლიერნი!

იმხიარულეთ ბანკეტით, მუსიკით, ცეკვით, სიმღერით...  
ქმარს საკუთარი დედისგან არ გაერჩიოს სიღერა!

შინ იღვრებოდეს თაფლივით რძალ-დედამთილის აღერსი  
და ჯანდაბამდის გზა ჰქონდეს ენას, ხმალივით აღეხიოს!

უშრომელთ შემოსავალი დაილიოს და დაივსოს  
და შრომელების ბედლები დოვლათით, ხვავით აივსოს!

ბაზრებს უშიშრად ვწვეოდეთ, არა შიშით და ფსიქოზით!..  
ცოტა იაფად გვეყიდოს საგოზინაყე ნიგოზი!..

თბილისის გარეუბნებში ავტობუსთ ევლოთ განრიგით,  
გაოცდეს კაცი სტუმარი ჩვენი წესითა და რიგით!

პურის ქარხნების ხელმძღვანელთ ხალხისთვის ეგდოთ ყურიო!  
ხარისხიანი გამოცხვენს! — ვის უნდა ცოში პურიო!..

გამრავლდით, დაშვილიანდით, ბოროტი სძლიეთ კეთილით  
და ნეგატიურ მოვლენებს უველგან დაუხვით წერტილი!

აი, საცაა, შემოვალ, აღფრთოვანება ვიგრძენი!..  
არ დამხვდეთ ოღნავ ნახვაშიც, სუყველა დაწხვდით ფხიზელი!“

ივანე ოსუვაიშვილი



# გულს შისწობიერა კანი

ალბიზია

ბარათი ქარი მგელივით ყმუის. ფანჯარას წყალი და სოშაკალი აწვდება. პატარა ოთახში თუნუქის ღუმელი ანთია. სითბოსთან ერთად ოფლისა და გასაშრობად გაფენილი ტანსაცმლის სუნი ტრიალებს. მასში ჩაკარგულა მაგიდაზე დაყრილი ფორთოხლისა და მანდარინის სურნელება.

სუთ ქართველს მკვდარივით სძინავს. გურამის სასთუმალთან ნახევარი ჩურჩხელა და წერილი დევს. გურამი სიზმარშია.

... გზაზე ავტობუსი გამოჩნდა. გურამი დიდი ასობისაგან გამოყვანილ ქართულ წარწერას კითხულობს და გაცემისაგან პირს აღებს. ავტობუსი რომ შენობას გაუსწორდა, გურამი ფანჯარას მოსცილდა, კედელს ამოეფარა. ავტობუსი გაჩერდა. სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი გოგობიჭვები ავტობუსიდან ჩამოვიდნენ და შენობისაკენ გაემართნენ. გურამი დაფეთებული გაიქცა ამხანაგებისაკენ.

— ჩვენთან მოდიან ქართველებია! — რომ დააკვირდა შათ სახეებს, მასაც ენა ჩაუვარდა.

აქეთ-იქით იხედებიან. დაუმთავრებელ შენობაში სად დაიმალონ?!

დაბლიდან ძახილი ისმის: — ქართველებო, გამოგვხედეთ!



— გვეშველა! ფრენია დაგვიბრუნდა!

სიჩუმეა. სმას არავინ იღებს. გურამს პირზე ხელი აქვს დაფარებული...

— ცხრა მთას იქით ქართველს შეხვდე და ხმა არ გასცე? — ფიქრობს გურამი.

— მე სომ ვთქვი! ქართველებს აქ რა უნდათ?! — მოისმა დაბლიდან.

— აბა, წამოდით მაღლა! — თქვა ვიღაცამ დაჟინებით.

გურამს ესმის მოახლოებული ხმაური.

— ახლა სომ დავიღუპეთ?! გასკდი, მიწავ, გასკდი, მიწავ, და თან ჩამიტანე!

გურამი გრძნობს, გულში წვა დაეწყო და თვითონვე აჩქარებს, ცეცხლს თვითონ უნთებს თავის სხეულს. ოღონდ ჩაიფერვლოს ამ ადგილას და მოსულთ არ დახვდეს.

კვამლად იქცა. უხარია. შენობაში დაფარვატებს. ზემოდან დასცქერის მოსაუბრეებს.

— მე სომ ვითხარით, ქართველები აქ ფულის საშოვარზე არ წამოვლენ-მეთქი?! — თქვა ჯგუფის ხელმძღვანელმა და ამაყად გადახედა ამხანაგებს.

გურამი სიხარულისგან ცისკენ მიიწევს. ქარი წამოემგელა. სამხრეთისკენ მიფრინავს...

ძახილი მოესმა. ღრუბლებად ქცეული ამხანაგები მისკენ მოდიოდნენ.

გურამს გაეხარდა. მართლა სირცხვილია ფულისთვის ასე შორს გადაიკარგო! ამ ფულს იქაც გავაკეთებ, თანაც დილის შვიდი საათიდან ღამის თორმეტ საათამდე მუშაობაც არ მომიწევს. ცხელ საჭმელსაც მიიღებ და მტერ-მოყვრებში არ გამოწყდები!

გურამმა თავზე შემოირტყა ხელი, — ფული დამრჩა! — და უკან გამობრუნდა.

ოთახში ფეხი შედგა თუ არა, ფორმიანი კაცი თავზე წაადგა.

- რას აკეთებ აქ?!
- ვმუშაობ.
- შენ ქართველი ხარ, გეტყობა!
- ქართველი ვარ! — ვერ იცრუა.
- აქ რა გინდა?
- არაფერი, ვმუშაობ. — ხელისგულები აჩვენა.

— ფულის გულისთვის ქართველი აქ არ ჩამოვიდოდა. თქვი, რა დააშავე? იქნებ გამოპარული ხარ რაიონიდან? დადექი, სურათი გადავიღო!

გურამი მუნღებზე დაეცა.

— ნუ იზამთ, გეხვეწებით!..

— რატომ? გაგიცნონ, იქ უქნარა იქნებოდი, აქ კი მშრომელი გამხდარხარ!

„მშრომელი“ ფორმიანმა დაცინვით თქვა.



უსიტყვოდ

# საქართველო დღიური

ფიქრები ნებატიურ მოვლენებზე  
ახალი წლის კარიბჭისთან  
ვინათმას

## ძველი წელი:

აწ ახალი წლის ჭიშკართან ვიღვები  
და თუმც ვიბრძოლე საქმით თუ სიტყვით,  
ვერ ვიმსუბუქე მე იგი ტვირთი —  
ნებატიური ფაქტების ტვირთი,  
ნებატიური ტიპების ტვირთი!  
ზოგ მათგანს აქვე პწკარებშიც ვითვლი:

### უსრომელი უამოსავალი

თავისი ოფლით არა ქმნის კაპიკს,  
ფული კი, ფული მას აქვს მრავალი!  
საიდან?! როგორ?! — უფუტკრო თაფლი —  
ეს უსრომელი შემოსავალი?!  
ამ ამოცანის ამოხსნა სწრაფი! —  
აი, რა არის ახლა მთავარი!  
ნარკომანსა და ნარკოტიკებით მოვაბრუნს

შენ ოპიუმით, შაშვით, მარბუხანით, კოკნარით  
შენში სინდისი მოკალი, სხვაც უსინდისოდ მოკალი..  
წინ მიუძღვები „თეთრ სიკვდილს“ „სიკვდილის ტანგოს“ მროკავი.  
შენს სირცხვილს აღბათ ვერ მორცევს წყალი ათასი ონკანის!  
ოთხფეხა ლოთი

გამობრუნებული ტროტუარს ზედ დაეხეთქა შფოთით  
და ახლა თავის ხელეხსაც ფეხებდა ხმარობს ლოთი..  
შეხედეთ, ორი კი არა, ახლა აქვს ფეხი ოთხი!  
ოთხფეხად იქცა, მარჯვით გზას მიუყვება ფორთხვით!

უღირსი ხელმძღვანელის ფიასკო  
უფროსობდა, მრუდე გზებით იარა  
და იგემა სუსხი ამ საწუთროსი!  
ჩაფარდა და... აწ უფროსი კი არა,  
აღარ არის მოადგილეც უმცროსის!

### ნაცვალგება

რადგანაც პოსტი ეკავა, მისდია თავის რეკლამას,  
სხვებს დაუძახა: —მაქეთო, აქეთ მოიწით, აქეთო!  
მაქეთ, თუ გინდათ სანაცვლოდ მეც თქვენი საქმე ვაკეთო!

ცრუპარიტიკოსის „წინდახედულობა“

კრიტიკის კედლებს ჭიქურ ეკვეთა,  
მწარე ფიქრები გულს უღონებენ,  
„მალღალაგებებს“ რომ ვერ შეგებდა,  
თავს გადაეღო „დაბალ ლობეებს“!

### წიგნის გადაგვიღველს

წიგნს ყიდულობს! გადაჰყიდველს არ ახვენებს ფიქრი:  
რას გაიგებს წიგნით? — არა! — რას მოიგებს წიგნით!  
თუმც ვერ იგებს საბოლოოდ, სად მოხვდება იგი!

### ფლიდური სვლავი

მშვენიერად იცის სუყველამ შენი ფლიდური სვლები,  
მაგრამ სხვებს მაინც ეძახი მიაშიტს და არ ცხრები!  
საოცარია, სხვები რატომ გგონია ცხვრები?!

### მეპრთამის წინალი

„ქრთამი ჭოჭოხეთის ანათებს!“ — აქ ეს თქმა საკითხს აძნელებს,  
რადგან მექრთამის სულს, სახეს ქრთამი, პირიქით, ახნელებს!

### ბოლოთმას

ძველი წელი — ახალ წელს:

ახლა მე ამ ტვირთს სასწრაფოდ ვიხსნი,  
რომ შენ გადმოგცე, ახლო წელს,  
რათა შენ მაინც მოსპო ეს ტვირთი  
და გაიტანო სიმართლის ლელო!

გიორგი უბთაბაური

ნახ. შ. ლელაძისა



# სიზმრავთს ახსნა

## იუმორისა

თუ საახალწლოდ სიზმარში კბილი მოგძვრა და არ გეტ-  
კინა, ცოლის ნათესავი მოგიკვდება, ხოლო თუ კბილი მოგძვრა, თან  
გესიამოვნა და გაგინარდა, ენაზე კიბო გაუჩნდება, ან ბნელა მოუვა  
შუამავალს, ვინც ცოლი გაგირიგა!

თუ დაგეცისიზმრა, რომ სამსახურში უფროსი გკოცნის,  
მეორე დღეს მოხსნილი ხარ, ხოლო თუ გეჩხუბა, დაგაწინაურებენ!

თუ მილიციელი დაგეცისიზმრა, ახალ წელს მეკვლედ სიდე-  
დრი გესტუმრება, ხოლო თუ სიზმარში სიდედრი ნახე, შინ მილი-  
ცია მოგაკითხავს!

ცოლის ნათესავების დასიზმრებამ ზარალი იცის, ხოლო  
სიზმარში ცოლის სიმღერამ — ავადმყოფობა.

თუ შაჰაბაზის, ჯალალედინის, ჩინგისხანის, თემურლენგის,  
ალაშაჰბადანის ან მურმან ყრუს ჯარები დაგეცისიზმრა, ახალი წლის  
მეორე დღეს ცოლის მთელი ნათესაობა გესტუმრება გაუფრთხილებ-  
ლად, თან არაფერს არ მოგიტანენ!

თუ ყაყაჩოები დაგეცისიზმრა, ტრასაზე ავტოინსპექტორები  
გაგაჩერებენ, ხოლო თუ სიზმარში ყაყაჩო მოწყვიტე ან ვინმეს აჩუ-  
ქა, ტალონს გაგისვრეტენ!

თუ სიზმარში ორი აგური გიჭირავს ხელში, ცოლსა და  
ქალიშვილს საახალწლოდ „დუბლიონკები“ უნდა უყიდო, ხოლო თუ  
უბრალო ქვა, ჩექმების, ფრანგული სუნამოებისა და დეზადორების  
ყიდვა არ აგცდება!

ვანო ცინცაძე

— ნუღარ ვაყოვნებთ, მამაჩემო! ავიხსოთ ეს ვენახი,  
დავთესოთ საზამთრო და, პატიოსან სიტყვას გაძღვევ,  
გაისად ცინცხალ „ვოლგას“ შემოგიგრიალებ ევროში!



# საახალწლო შეგონება დიდება და კატარებს

(მისალოპონისაგან)

ამბობენ, თურმე როცა  
ახალი წელი დგება,  
რასაც ინატრებს კაცი,  
ყოველთვის უსრულდება.

დიას, ნანატრი თუმცა  
უსრულდებო მუდამ,  
შავრამ ამისთვის იგი  
თავად ეცადოს უნდა!

მთქნარებას კი არ მოჰყვებს,  
საქმეს მოჰკიდოს სელი,  
შრომისთვის არასოდეს  
არა სწყდებოდეს წელი!

ყველა ახალი წელი  
ყველასგან ითხოვს გარჯას,  
ვერ იტანს ზანტს და მცონარს,  
ვინც დროს ამაოდ სარჯავს!

ვერც იმას ვეუება,  
ვინც დიდი ფანჯით სვდება,  
და, გალუმილი ღვინით,  
ფეხზე რომ ძლივსაღა დგება!

თუ სარ კაცური კაცი,  
აგისრულდება ნატურა!  
ჰუმბარიტება გქონდეს,  
მუდამ სალოცავ ხატად!

ამბობენ, თურმე, როცა  
ახალი წელი დგება,  
რასაც ინატრებს კაცი,  
ყოველთვის უსრულდება!

უსრულდებო ყველას,  
ბავშვმა ინატროს თუნდა,  
ოღონდ ამისთვის იგი  
თავად ეცადოს უნდა!

მთქნარებას კი არ მოჰყვებს,  
საქმეს მოჰკიდოს სელი,  
სწავლისთვის არასოდეს  
არა სწყდებოდეს წელი!

ბავშვებო, ყოველ თქვენგანს  
ვიცი, რაც სურს და უნდა —  
ფრიალზე შეასრულოს  
დავალებები მუდამ!

სკოლაში წარმატება  
შესანიშნავი ჰქონდეს,  
ღლიურში ორიანი  
არ გაძვრეს არასოდეს!

მთა ამირანაშვილი




— მაცალეთ, ხალხნო, მშვიდობიანად ჩამოსვლა!

## წინასახალწლო პროგნოზი

წელსა ოთხმოცდაშვიდსასა, ეჭვი არ არია, — მტრისაა,  
რაც დაატყდება თავსაო ყველას, ვინც გვიმღვრევს წყალსაო:  
მომხვეჭელს, შემწერს, ავციას, ქურდს ჯიბისას თუ „რამკიანს“,  
საქმოსანს, წვრილსა თუ ღლაესაო, მექრთამეს, წამგლეჯს, თარსაო  
ნარკომანს, ბოროტს, ავსაო, კაცუნებს, სულთ შავსაო,  
მტრედობის მჩემებ ყვავსაო, მათ, ვინც „ვერ ამჩნევს“ სხვასაო,  
„ანონიმების“ ზღვასაო, ერთურთ საფლავთა თხრასაო,  
ხელმოცარულთა ღვარძლსაო, სხვისი ნათესის მკასაო!..  
ყველაფერს, რაც გვცაგს, ყარსაო, რაც გველობება გზასაო,  
გაურჯულად და უშრომლად ვინც ფულის იღვამა მთასაო!..  
აუ იქნება ესაო, ოთხმოცდაშვიდსა წელსაო!..

გივი ჩხაიძე



# „ნიანგის“ რეაქსიას

უპასუხავს პარტიის წესდარღვევის რაკიონის პირველი მდივანი ახ. ჯ. გორგოძე:


„თქვენი უფროსის 1986 წლის მე-16 ნომერში „სატირული ლირიკის“ რუბრიკით გამოქვეყნებულ გიორგი კაპანაძის ლექსებში აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ისინი ნაწილობრივ სინამდვილეს შეეფერება.“

უკანასკნელ პერიოდში რაიონში გარკვეული ღონისძიებები გატარდა ვაჭრობა-მომსახურების სფეროში ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად, მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად, ქალაქში არსებული სახიკლე-საქაბაბეები გადაკეთდა უაღკოპოლო სახმელებისა და საკონდიტრო ნაწარმის კაფეებად, ხოლო ვაჭრობის წესების დარღვევებში მხილებული მუშაკები განთავისუფლდნენ სამუშაოდან, საზოგადოებრივი კვების ქსელისადმი არადამაკმაყოფილებელი ხანიტარიული ზედამხედველობისათვის თანამდებობიდან განთავისუფლდნენ რაიონის სახეობისადგურის მთავარი ექიმი რ. კაკაურიძე და კვების შივიენის ექიმი გ. თაბუაშვილი. დაწესებულება კონტრაქტული კვების ობიექტებში ხარისხიანი კერძების დამზადებაზე.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პურის ცხობის ხარისხიც, რაც განაპირობა სადღეღამისო ლაბორატორიული ზედამხედველობის გაძლიერებამ, წარმოებაში პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვამ.

ასევე პრაქტიკული ღონისძიებები ხორციელდება შორაპნის ქარხანა „ელექტროემენტის“ პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, გათვალისწინებულია, 1987 წლიდან ექსპლუატაციაში შევიდეს ახალი ტექნიკური პირობა, რომელიც 18-ის ნაცვლად 12 თვეს ითვალისწინებს ელემენტის ვარჯისიანობის ვადად. ამჟამად ქარხანაში მიმდინარეობს ტექნიკური გადაიარაღების სამუშაოები, რომელთა დამთავრების შედეგად ყველა პირობა შეიქმნება მაღალ-ხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად.“

ნახ. ა. ოპროპირიძის



უსიტყვოდ

# კომპიუტერი მსხლის სკოპუსს

**სანაქა:** „ვინც დანაშაულს არ ამხელს, ამით ხელს უწყობს მას.“

**სიცარონი:** „დანაშაულის უდიდესი წაქეზება დაუსჯელობაა.“

**პოლტარი:** „დანაშაულს სჩადიან მხოლოდ სუსტები, ძლიერსა და ბედნიერს ის არ სჭირდება.“ „არაფრისთვის არ ვარგა ის, ვინც მხოლოდ თავისი თავისთვის ვარგა.“

**ლოგოროსოვი:** „ზარმაცი კაცი უპატიოსნო სიმშვიდით ემსგავსება ჭაობს, შმორის სუნისა და საზიზღარი ქვეწარმავლების გარდა რომ არაფერს იძლევა.“

**გოეთე:** „უქმი ცხოვრება ნაადრევი სიბერეა.“

**დარვინი:** „უსაქმურობაზე აუტანელი არაფერი ვიცი.“

**უაილდი:** „ყველაზე მძიმე სამუშაო არაფრის კეთებაა.“

**პაინე:** „დაუსაქმებელი კაცი ვერასოდეს ვერ გაიხარებს ნამდვილი ბედნიერებით, მის სახეზე მუდამ ამოიკითხავთ უკმაყოფილებისა და აპათიის ნიშანს.“

**ზრანკლინი:** „მოუცლელ ადამიანს იშვიათად ესტუმრებიან უსაქმურები – მდულარე ქვაბს ბუზები არ ეკარებიან.“

**პიუგო:** „სიზარმაცე დედაა, ჰყავს ორი შვილი: ვაჟი – ქურდობა, ასული – შიმშილი.“

**პავლოვი:** „ალკოჰოლს სიამოვნებისათვის იღებენ, მაგრამ მთელს კაცობრიობას ბევრად მეტ უბედურებას აყენებს, ვიდრე სიამოვნებას. რამდენი ძლიერი და ნიჭიერი ადამიანი დაღუპა სასმელმა! ნუ სვამთ ღვინოს, ნუ ეწევით თამბაქოს და იცოცხლებთ იმდენს, რამდენიც ტიცინამა იცოცხლა (99 წელი)“.

**პორასიუსი:** „ღვინო ღუპავს სილამაზეს, ღვინო ამოკლებს სიცოცხლეს.“

**სკოტი:** „მანკიერებათა შორის ლოთობა ყველაზე ნაკლებად ეწყობა სულის სიღიადეს.“

**დრაიზარი:** „ვინც მანკიერებასთან მოლაპარაკებას გამართავს, მონაა მისი.“

**რუსო:** „სიმთვრალე ამცირებს, აჩლუნგებს ადამიანს, უკარგავს იმას, რითაც ის ცხოველებისაგან განირჩევა – გონებას – და აქცევს პირუტყვად.“

**პლუტარქე:** „არ არსებობს ისეთი მაგარი სხეული, ღვინომ რომ ვერ ავნოს.“

**პალპაციუსი:** „ვნებათა შორის შური ყველაზე უფრო საზიზღარია. შურის დროშის ქვეშ ლაშქრობენ სიძულვილი, დალატი და ყოველნაირი ხრიკი.“

**აბუ-ლ-ფარაჟი:** „რატომ არიან მეშურნეები მუდამ დაბოღმილები, სხვათა მკიცხველნი? იმიტომ, რომ მათ ღრღნით არა მარტო საკუთარი მარცხი და უნიჭობა, არამედ სხვათა ნიჭი და წარმატებაც.“ „ლოთობა ყოველგვარი მანკიერების დედაა.“

შეკრება აქაქი გელოვანმა



ახალი წელიც ერთ წაშში გაძარცვას!



სატირიკი

სატირიკი — ღამ იუმორისტის  
ქურნალი „ნიანგი“ № 24  
(1730), დეკემბერი. გამო-  
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ გოლჭავაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
კახუა ამირჯინი, ნოზალი  
ბართაია, ბორის გურგუ-  
ლია, რევაზ თვარაძე, ჭემალ  
ლოლაშვილი, ნოდარ მაღალაშვილი  
(მხატვარ - რედაქტორი),  
ალექსანდრე სამსონია, ბე-  
ნუან სიხარულიძე, (მთავარი  
რედაქტორის მოადგილე),  
ჭანსუდ ჩარკვიანი, თამაზ  
წიფიჭიჭიანი, ნაფი ჯუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი დუნდუა

გადაცემა ასაწყობად  
18. 11. 86 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბეჭდად 15. 12.  
86 წ. ქალაქის ზომა  
50 X 90 სმ. ფიზიკური ნაბე-  
ჭდი ფურცელი 1,5, სად-  
რიცხო-საგამომცემლო თა-  
ბახი 1,9, საქართველოს  
კ. ც. კ. -ის გამომცემლობა,  
ლენინის 14 შეკვ. 2640  
უე 05176. ტირაჟი 143.000.  
ქურნალი გამოდის თვეში  
ორჯერ. რედაქციაში შემო-  
სული მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მგ მდივნის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილებათა გამგებების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაკების — 99-02-38,  
მდივან-მეგანქანის —  
99-76-69.

Сатирико - юмористиче-  
ский журнал «НИАН-  
ГИ» (На грузинском  
языке) Тбилиси, пр. Ру-  
ставели № 42. Изда-  
тельство ЦК КП Грузии,  
типография издательства  
ЦК КП Грузии, Тбили-  
си, улица Ленина № 14.

ინდექსი 76137  
ფასი 20 კაპ.

